

LEGEE-688

იატაკის ვაკუუმ საწმენდი რობოტი 4 ერთში



FastBrush + LEGEE®

მომხმარებლის სახელმძღვანელო



iENA

გერმანიის გამოგონებათა გამოფენის
iENA-ს ვერცხლის მედლის მფლობელი



⊗ უსაფრთხოების მნიშვნელოვანი ზომები

გამოყენებამდე წაკითხეთ ინსტრუქცია.

მოწყობილობის გამოყენება შეუძლიათ 8 წელზე მეტი ასაკის ბავშვებს და პირებს შეზღუდული ფიზიკური, მგრძობელობითი ან გონებრივი შესაძლებლობებით ან პირებს ნაკლები გამოცდილებით ან ცოდნით, მხოლოდ მეთვალყურეობის ქვეშ ან თუ მათ ეძლევათ ინსტრუქცია მოწყობილობის უსაფრთხოდ გამოყენების შესახებ და თუ აღიქვამენ შესაძლო საშიშროებებს. დაუშვებელია ბავშვებმა ითამაშონ ამ მოწყობილობით. წმენდა და თვითნებური ტექნიკური მომსახურება დაუშვებელია შეასრულონ ბავშვებმა მეთვალყურეობის გარეშე.

გაფრთხილება:

არ შეახოთ LEGEE ან მისი აქსესუარები ელექტროულ ნაწილებს. პროდუქტის დაზიანების ან შეცვლის საჭიროების შემთხვევაში, სერვისი ან რემონტი უნდა ჩატაროს ავტორიზებულმა სერვის აგენტმა. დარწმუნდით, რომ შემავალი ელექტრო ძაბვა შეესაბამება დატენვის სადგურისას.

- დაიცავით ინსტრუქციები და გაფრთხილებები.
- ამ სახელმძღვანელოს წაკითხვის შემდეგ, შეინახეთ ადვილად ხელმისაწვდომ ადგილას.
- გამოყენებამდე გაწმინდეთ შვიდი სენსორი და გვერდითი ჯაგრისი.
- მოათავსეთ საწმენდი ტიპო მოწყობილობის ქვეშ სიბრტყეზე.
- წყლის ავზი აავსეთ წყლით ან გაზავებული LEGEE-ს საწმენდი საშუალებით, დაუშვებელია სხვა საწმენდი საშუალებების გამოყენება.
- მოწყობილობა არ გამოიყენოთ გაპოხილ ზედაპირზე.
- მოწყობილობა არ გამოიყენოთ ელექტრო კაბელებთან, კორპუსის ნაწილებთან და ფარდებთან ახლოს.
- მოწყობილობა და მისი აქსესუარები შეინახეთ ბავშვებისთვის ხელმიუწვდომელ ადგილას.
- მოწყობილობა შეინახეთ მშრალ და გრილ ადგილას, მოარიდეთ მზის პირდაპირ სხივებს, ღია ალს, სიცხეს, ტენიანობას, წყალს და ნებისმიერ სხვა სითხეებს.
- მოწყობილობა არ შეინახოთ ცხიმთან, აალებად სპრეიტთან ან აალებად მასალებთან ახლოს.
- ტემპერატურა მუშაობისას: 0°C ~40°C (32°F ~104°F)
- შენახვის ტემპერატურა: -10°C ~50°C (14°F ~122°F)

⊗ სიფრთხილის ზომები

- შეაერთეთ დენის ადაპტერი სპეციფიკაციებში განსაზღვრულ შესაბამის დენის წყაროში. დენის ადაპტერი განკუთვნილია საშიში ელექტრო ძაბვისთვის. არ ეცადოთ ადაპტერის თავად შეკეთებას. დაზიანების ან მაღალი ტენიანობის შემთხვევაში

შეცვალთ მთლიანად. დახმარებისა და ტექნიკური მომსახურების მიზნით დაუკავშირდით HOBOT-ის ადგილობრივ დილერს.

- დარწმუნდით რომ მოწყობილობა, დენის ადაპტერი და დენის სადენი არ მოყვეს მძიმე ობიექტების ქვეშ.
- მოწყობილობის და დენის ადაპტერის და დამტენი სადგურის გარშემო უნდა იყოს ადეკვატური ვენტილაცია. არ დაფაროთ ისინი სხვა საგნებით.
- არ გამოიყენოთ მოწყობილობა და ადაპტერი და დამტენი სადგური ძლიერ მაგნიტურ ველში, ტენიან ან ძალიან ცხელ გარემოში.
- გთხოვთ მოწყობილობაზე გამოიყენოთ ორიგინალი დენის ადაპტერი და ბატარეა და დამტენი სადგური, რომელიც მოყვება მოწყობილობას. სხვა კოპონენტების გამოყენებამ შესაძლოა გამოიწვიოს დაზიანება, გაუმართაობა და/ან მოწყობილობას შეუქმნას საშიშროება.
- არსებობს ბატარეის აფეთქების, ხანძრის მოდების საშიშროება და/ან შეიძლება გამოიწვიოს დამწვრობა დაშლის, დამტვრევის, გაჭრის, გახვრეტის, მოკლე ჩართვის შემთხვევაში, დაფერფვლის, ხელახალი დატენვის (ერთჯერადი სექციების) შემთხვევაში ან წყალში მოხვედრისას, ხანძრის ან 60°C-ზე (140°F) მაღალი ტემპერატურის შემთხვევაში.
- თუ მოწყობილობა არ გამოიყენება დიდი ხნის განმავლობაში, შეინახეთ მშრალ და უსაფრთხო ადგილას. ბატარეის ვარგისიანობის შესანარჩუნებლად, უნდა დაიტენოს ყოველ 3 თვეში ერთხელ.
- მოწყობილობა არ ამუშაოთ თუ სადენი ან დენის ადაპტერი დაზიანებულია. დარწმუნდით, რომ დენის სადენი არ არის დაჭიმული ან ეხება ბასრ ობიექტებს ან კიდეებს.
- არ გამოიყენოთ მოწყობილობა თუ მისი რომელიმე ნაწილი ან აქსესუარი დაზიანებულია ან აქვს დეფექტი.
- მოწყობილობის გამოყენებამდე ნებისმიერი მსხვრევადი ობიექტი აირეთ იატაკიდან, მაგ: მინის ნამსხვრევები ან ნებისმიერი სხვა ობიექტი, რომელსც შეუძლიათ დაბლოკოს ან დააზიანოს მოწყობილობა.
- არ დატოვოთ მსხვრევადი ობიექტები მაგიდის, უჯრების და ა.შ. გვერდით, სადაც მოწყობილობა შეიძლება შეეხოს და ჩამოაგდოს ისინი.
- მოწყობილობის, დენის ადაპტერის და დამტენი სადგურის დაშლამდე, აწყობამდე ან გაწმენდამდე გათიშეთ დენი და გამოაერთეთ შტეფსელიდან.
- გაწმენდისას არ შეასხუროთ წყალი ან არ ჩადოთ წყალში. მოწყობილობა არ არის წყალგამძლე.
- რეგულარული წმენდის გარდა ყველა სხვა მომსახურება უნდა ჩაატაროს ავტორიზებულმა სერვისის წარმომადგენელმა.
- გადაყრის ადგილობრივი რეგულაციების შესახებ ინფორმაციისთვის დაუკავშირდით თქვენს ადგილობრივ ნარჩენების მართვის სამსახურს. მოწყობილობა და დასატენი ბატარეები არ გადაყაოთ საყოფაცხოვრებო ნარჩენებთან ერთად.

©საავტორო უფლებები და სასაქონლო ნიშნები

HOBOT® Technology Inc. საავტორო უფლება© 2019. ყველა უფლება დაცულია. კომპანიის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე დაუშვებელია ამ ინსტრუქციის რეპროდუცირება, გადაცემა, გადაწერა, შენახვა აღდგენის სისტემაში ან ნებისმიერ სხვა ენაზე თარგმნა ან კომპიუტერულ ენაზე თარგმნა რაიმე ფორმით ან რაიმე საშუალებით, ელექტრონულად, მექანიკურად, მაგნიტურად, ოპტიკურად, ქიმიურად, ხელით ან სხვაგვარად. ამ სახელმძღვანელოში მოცემული ყველა სხვა ლოგო, პროდუქტი ან კომპანიის სახელი შესაძლოა იყოს შესაბამისი კომპანიების რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნები ან საავტორო უფლებები და გამოიყენება მხოლოდ საინფორმაციო მიზნით.

© განცხადება პასუხისმგებლობის შესახებ

HOBOT Technology Inc. არ გასცემს არანაირ გარანტიას, აშკარად გამოხატულს ან ნაგულისხმევს, ზემოთ მოცემული შინაარსის მიმართ და კონკრეტულად უარს აცხადებს ნებისმიერ გარანტიაზე, საბაზრო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე ან შესაბამისობაზე კონკრეტული მიზნისთვის. ამასთანავე, HOBOT Technology Inc. იტოვებს უფლებას შეცვალოს ეს ინსტრუქცია და პერიოდულად შეიტანოს მასში ცვლილებები ასეთი რედაქტირების ან ცვლილების შესახებ შეტყობინების გარეშე. მომხმარებელი ვალდებულია დაიცვას მომხმარებლის სახელმძღვანელოში განსაზღვრული ინსტრუქცია, და საბოლოოდ მომხმარებელია პასუხისმგებელი გამოყენებისას ამ საწმენდი იარაღის განთავსებაზე და უსაფრთხოებაზე.

© ლაზერის უსაფრთხოება

ამ პროდუქტის ლაზერის მანძილის სენსორი აკმაყოფილებს I კლასის ლაზერის პროდუქტების სტანდარტის IEC 60825-1:2014 მოთხოვნებს და არ იწვევს საშიშ ლაზერულ გამოსხივებას.

© ლიმიტირებული გარანტია

თუ შეძენის ან მოწოდების თარიღის შემდეგ გარანტიის მოქმედების ვადაში თქვენს LEGEE-ს აღმოაჩნდება ნაკლი დეფექტური მასალების, ცუდი აწყობის ან გაუმართაობის გამო, დაუყოვნებლივ დაუკავშირდით ადგილობრივ გამყიდველს ან ადგილობრივ ავტორიზებულ დილერს რემონტის ან შეცვლის მიზნით. ეს ლიმიტირებული გარანტია არ ფარავს შემდეგს:

- ბუნებრივი ცვეთა, მათ შორის ნაწილების, რომლებიც შესაძლოა გაცვდეს დროთა განმავლობაში (მაგ: წყლის ავზი, სპრეის თავი, საწმენდი ტილო, დამცავი ბაგირი, უსაფრთხოების ბაგირი და შეფუთვა და ა.შ.)
- ბატარეის გამძლეობის დროის შემცირება ბატარეის დამძველების ან გამოყენების შედეგად, ბატარეის ვარგისიანობის ვადის (1 წელი) და მოწყობილობის გამოყენების რაოდენობის შესაბამისად.
- დაზიანება გადაზიდვისას და მიწოდებისას ან შემთხვევითი დაზიანება ან არასწორი გამოყენება, ინსტრუქციების წესების დარღვევით.
- გაუმართაობა ან დაზიანება, რომელიც გამოწვეულია შემდეგი მიზეზებით:
 - მოწყობილობის დაუდევარი გამოყენება, არასწორი გამოყენება, უყურადღებო მოხმარება.
 - მოწყობილობის გამოყენება ამ სახელმძღვანელოთი გათვალისწინებულის დარღვევით.

- არა საოჯახო მიზნით გამოყენება ქვეყანაში სადაც იგი იქნა შექმნილი.
- იმ ნაწილების გამოყენება, რომლებიც არ არის აწყობილი ან დამონტაჟებული ამ ინსტრუქციის შესაბამისად.
- არა ავტორიზებული ნაწილების და აქსესუარების გამოყენება. სათადარიგო ნაწილების და აქსესუარებისთვის დაუკავშირდით ადგილობრივ გამყიდველს ან ადგილობრივ ავტორიზებულ დილერს.
- არასწორად აწყობა ან მონტაჟი.
- რემონტი ან ცვლილება, განხორციელებული იმ მხარეების მიერ, რომლებიც არ არიან HOBOT-ის ავტორიზებული დილერები.

© პროდუქტი მახასიათებლები

პატენტის ექსკლუზიური ლიცენზია : FastBrush 4-ეტაპიანი წმენდა


FastBrush 4-ეტაპიანი წმენდა საშუალებას აძლევს LEGEE-ს შეასრულოს ვაკუუმ დასუფთავება, მშრალი მოწმენდა, წყლის შესხურება და წველი წმენდა ერთ ჯერზე.



ძლიერი ვაკუუმი ადვილად იღებს მცირე ნაწილაკებს, როგორცაა მტვერი და თმა, შემდეგ ზედაპირს წმენდს წინა საწმენდი ტილოთი 600-ჯერ/წუთში*, რომელიც ხორციელდება რხევით-თანმიმდევრული მოძრაობის შემსრულებელი მექანიზმით, რაც ახდენს ადამიანის ქცევის იმიტირებას იატაკიდან ჩამჯდარი ჭუჭყის მოსაშორებლად. რასაც მოყვება სმარტ წყლის შესასხურებელი, რომელსაც აქვს ტემპერატურის სენსორი, რომელიც აფრქვევს მხოლოდ ლაქების დასაშლელად საჭირო წყლის ოდენობას, თუმცა უკან არ ტოვებს ნარჩელ წყალს. უკანა საწმენდი ტილო, რომელიც იმეორებს წინა საწმენდი ტილოს მოძრაობას, ასრულებს წმენდას დაშლილი ლაქების შთანთქმით და იატაკის გაპრიალებით.


*სტანდარტულ რეჟიმში.

წმენდის სამი მიმართულება




ზიგზაგური წმენდა

LEGEE გაივლის ზიგზაგურ გზას იატაკის მოსაწმენდად, დასრულებისას LEGEE განაგრძობს სახლის განლაგების რეჟიმში.



კედლის გასწვრივ წმენდა

LEGEE გაივლის კედლის გასწვრივ იატაკის კიდის მოსაწმენდად, დასრულებისას LEGEE განაგრძობს სახლის განლაგების რეჟიმში.



ავტომატური წმენდის მიმართულება

= ზიგზაგი + კედლის გასწვრივ წმენდა

LEGEE სივრცეს დაყოფს 4.4x4.4 მეტრი² და შეასრულებს ზიგზაგურ წმენდას, შესაბამისად დაასრულებს კედლის გასწვრივ წმენდის რეჟიმით. დასრულებისას, LEGEE განაგრძობს სახლის განლაგების რეჟიმში.

წმენდის სხვადასხვა რეჟიმი

არსებობს წმენდის 7 რეჟიმი: სტანდარტული, ძლიერი, ეკო-რეჟიმი, სამზარეულოს, მშრალი, შინაური ცხოველების და საპრიალებელი.

თქვენს სურვილზე მორგებული 1 კონკრეტული რეჟიმი ემსახურება თქვენს განსაკუთრებულ მოთხოვნებს.

Talent Clean



Simply the Best.

Standard Mode
Standard mode is the perfect fit for any generic use.



Clean Like a Pro!

Kitchen Mode
Kitchen mode can clean the common spill, splash and stains.



Spotless Squeaky Clean.

Polish Mode
Polish mode brings back the bright and shine.



Stay Dry and Clean.

Dry Mode
Use Dry mode when cleaning hardwood floor.



Nothing Escapes.

Strong Mode
Strong mode is ideal for deep cleaning.



Go Green!

ECO Mode
ECO mode helps to save energy and works quietly.



Pet Friendly.




Pet Mode
Pet mode cleans hair and pawprints efficiently.




You Are the Boss.

Customized
Feel free to adjust the parameters to suit your special need.



რეჟიმი	შესავალი
 სამზარეულო	HOBOTის ექსკლუზიური პატენტი. სპეციალურად შექმნილია ჩამჯდარი ჭუჭყის გასაწმენდად, რომელიც ხშირად უკან გვრჩება სამზარეულოს იატაკზე. LEGEE პირველ რიგში გაყოფს სივრცეს 1.5m×1.5მეტრად და შეასხურებს დიდი ოდენობით წყალს ლაქების დასაშლელად, შემდეგ დაბრუნდება უკან დაშლილი ლაქების მოსაწმენდად და შთანთქმისთვის, იატაკი მსოფლიო დონის სუფთა იქნება!
 ცხოველები	შინაური ცხოველების ბეწვის მოშორება ადვილი არ არის! ცხოველების რეჟიმში ვაკუუმის ძალა იზრდება წვრილი თმის შესაგროვებლად. ასევე, შესასხურებელი წყლის გაზრდილი მოცულობა და უფრო მაღალი მოწმენდის სიხშირე იატაკიდან აშორებს თათების ნაკვალევს ან ლაქებს.
 გაპრიალება	LEGEE იატაკს წმენდს წყლის გაზრდილი მოცულობით და მოწმენდის სიხშირის მომატებით, მაშინ როცა ამცირებს მოძრაობის სიჩქარეს, რათა მოწმინდოს ძველი ჭუჭყი და წყლის ნაკვალევი იატაკზე. თქვენი იატაკი მალე აღიდგენს ბზინვარებას და პრიალს!

© LEGEE-688-ის მუშაობა




© მომზადება

1. დასატენი სადგურის დაყენება

ნაბიჯი 1. დასატენი სადგური მოათავსეთ კედელთან, მყარი ზედაპირის მქონე იატაკზე, რათა დგომის პერიოდში არ დაცურდეს.


ნაბიჯი 2. დარწმუნდით, რომ დასატენი სადგურის წინა მხარეს სულ მცირე 1.5 მეტრის მანძილზე და 1.5 მეტრი მარჯვნივ და მარცხნივ არ იდოს რაიმე საგანი.



2. LEGEE-ის დატენვა


ნაბიჯი 1. დენის ადაპტერი შეაერთეთ დასატენ სადგურში.

ნაბიჯი 2. მოათავსეთ რობოტის მრგვალი კიდე სადგურის მეტალის შესაერთებელზე. პირველად გამოყენებამდე სრულად დატენეთ ბატარეა სულ მცირე 4 საათით, სანამ მწვანე ნათურა არ აინთება.




3. დაამაგრეთ / შეცვალეთ საწმენდი ტილო

საწმენდი ტილო მიამაგრეთ მოწყობილობას სწორად. (როგორც მითითებულია წერტილოვანი ხაზით)




4. დააყენეთ გვერდითი ჯაგრისი

დააჭირეთ მოწყობილობაზე გვერდითა ჯაგრისის ჩასასმელად, უნდა გაიგოთ წკაპუნის ხმა.




5. აავსეთ წყლით/საწმენდი საშუალებით

აავსეთ წყლის ავზი წყლით ან LEGEE-ს საწმენდი საშუალებით, რისთვისაც იყენებთ ბოთლს, რომელიც მოყვება მოწყობილობას და ავსების შემდეგ დალუქეთ წყლის ავზი საცობით.




6. წმენდის დაწყება/გაჩერება

ნაბიჯი 1. წმენდის დაწყება: ასწიეთ და გახსენით თავსახური და დააჭირეთ ედნის

ამომრთველს, შემდეგ დახურეთ თავსახური და დააჭირეთ ლილავს 

მოწყობილობაზე ან დისტანციური მართვის პულტზე ან აპლიკაციაზე. (მიადეთ ამორტიზატორის წინა მხარე ბრტყელ კედელზე თუ არ იწყებს წმენდს დასატენი სადგურიდან).

ნაბიჯი 2. დააპაუზეთ წმენდა: დააჭირეთ ლილავს  მოწყობილობაზე ან დისტანციური მართვის პულტზე.

ნაბიჯი 3. გააჩერეთ წმენდა: დააჭირეთ ლილავს  დისტანციური მართვის პულტზე.



© აპლიკაციის ინსტრუქციები

LEGEE-688-ის მართვა შეასრულებელია როგორც დისტანციური მართვის პულტით, ისე HOBOT LEGEE-ის აპლიკაციით Wi-Fi® მეშვეობით.

1. დამოტვირთეთ და დააინსტალირეთ HOBOT LEGEE აპლიკაცია



* წაიკითხეთ და დაეთანხმეთ ჩვენს მომსახურების პირობებს.


- LEGEE-ის არ აქვს 5G Wi-Fi მხარდაჭერა.
- დარწმუნდით, რომ LEGEE და სმარტფონი ჩართულია ერთი და იგივე Wi-Fi ქსელში მუდმივი Wi-Fi დაფარვით.
- ჩართეთ Wi-Fi ფუნქცია სმარტფონზე და დააკავშირეთ.




2. დაიწყეთ წმენდა HOBOT LEGEE-688 აპლიკაციით

ნაბიჯი 1. ასწიეთ და გახსენით თავსახური და დააჭირეთ ამომრთველს.

ნაბიჯი 2. დააჭირეთ შვიდიდან ერთ-ერთ რეჟიმს.

ნაბიჯი 3. დააჭირეთ ღილაკს  დასაწყებად.

ნაბიჯი 4. დააჭირეთ ღილაკს  წმენდის დასაწყებად. გამოჩნდება რეალურ დროში რუკა, რომელიც LEGEE -ის მიერ წმენდის პარალელურად გაჩვენებთ გაწმენდილ ადგილს.



© დისტანციური მართვის პულტი

ღილაკები	ქმედება
	წყლის შესხურება ერთხელ
	მშრალი/სველი მოწმენდა
	ხელით კონტროლი
	წმენდის შეჩერება
	დაიწყე წმენდა: სამზარეულოს რეჟიმი
	ვაკუუმ ენერჯია: 5 დონე
	დასატენი სადგურის დაბრუნება
	ავტომატური წმენდის მიმართულება: დაწყება/დაპაუზება
	კედლის გასწვრივ წმენდის მიმართულება


© LED მითითება

სიტუაცია	LED მითითება
მშრალი მოწმენდა	ანთია თეთრი ნათურა
სველი მოწმენდა	ანთია ლურჯი ნათურა
წყლის შესხურება	თეთრი და ლურჯი ნათურა ციმციმებს
ბატარეა დამუდარია	ყვითელი ნათურა ციმციმებს
დასატენი სადგურის ძებნა	ყვითელი და ლურჯი ნათურა ციმციმებს
ბატარეა იტენება	ყვითელი ნათურა ანთია
ბატარეა სრულად დატენილია	მწვანე ნათურა ანთია
გაფრთხილება	ვარდისფერი ნათურა ანთია
დაწყვილება	თეთრი ნათურა ციმციმებს
მოწყობილობის გაუმართაობის კოდი (დახმარებისთვის დაუკავშირდით ადგილობრივ დილერს)	ლურჯი და წითელი ნათურა ციმციმებს


©წმენდა და ტექნიკური მომსახურება

1. გაწმინდეთ 7 ლაზერის სენსორი

- დააჭირეთ ამორტიზატორის მარჯვენა გვერდს და შემდეგ მოქაყეთ მისი მარცხენა მხარე მისი LEGEE-დან მოსახსნელად.



გამოიყენეთ სუფთა, მშრალი ტილო 7 ლაზერის სენსორის გასაწმენდად.



წმენდის სიხშირე: ყოველ გამოყენებამდე ან დაიცავით აპლიკაციის შეხსენების გრაფიკი.

2. დაცალეთ ურნა

- ასწიეთ ზედა სახელური და ამოიღეთ ურნა და გახსენით და მოაშორეთ მტვერი.

წმენდის სიხშირე: ყოველ გამოყენებამდე ან დაიცავით აპლიკაციის შეხსენების გრაფიკი.




3. გაწმინდეთ ეკრანის ფილტრი

- ფრთხილად ჩამოყარეთ მტვერი ეკრანის

ფილტრიდან. თუ საჭიროა ფილტრი გაავლეთ წყალში.


წმენდის სიხშირე: ყოველი გამოყენების შემდეგ.



4. გაწმინდეთ HEPA ფილტრი

- ფრთხილად ჩამოყარეთ მტვერი HEPA ფილტრიდან.
- არ გარეცხოთ HEPA ფილტრი.
- თუ ძალიან ჭუჭყიანია შეცვალეთ HEPA ფილტრი.

წმენდის სიხშირე: ყოველი გამოყენების შემდეგ.
დამატებითი სათადარიგო ნაწილებისთვის დაუკავშირდით ადგილობრივ გამყიდველს ან ადგილობრივ ავტორიზებულ დილერს.




5. გვერდითი ჯაგრისის წმენდა

გამოქაჩეთ გვერდითი ჯაგრისი, შემდეგ ფრთხილად გარეცხეთ ჯაგრისი თბილი წყლით მტვრის ჩამოსაწმენდად და აღადგინეთ მისი თავდაპირველი ფორმა. დააყენეთ ჯაგრისი.

წმენდის სიხშირე: ყოველი გამოყენების შემდეგ.

დამატებითი სათადარიგო ნაწილებისთვის დაუკავშირდით ადგილობრივ გამყიდველს ან ადგილობრივ ავტორიზებულ დილერს.



6. გარეცხეთ საწმენდი ტილო - რეცხვის

ინსტრუქცია

- გარეცხეთ 40°C-მდე (104°F) წყალში.
- არ გამოიყენოთ მათეთრებელი საშუალება.
- არ გაწუროთ.
- არ დააუთაოთ.
- არ გამოიყენოთ მშრალი რეცხვა.

წმენდის სიხშირე: ყოველი გამოყენების შემდეგ.

Please contact a local retailer or local authorized dealer for additional consumable spare parts.




7. შეცვალეთ სპრის თავი

ხრახნის და თავის მოსახსნელად გამოიყენეთ პატარა სახრახნისი. შეცვალეთ ახალი თავით და ჩახრახნეთ უკან.

წმენდის სიხშირე: როდესაც თავი გაჭედილია და ვერ აფრქვევს წყალს.

დამატებითი სათადარიგო ნაწილებისთვის დაუკავშირდით ადგილობრივ გამყიდველს ან ადგილობრივ ავტორიზებულ დილერს.



© ხშირად დასმული კითხვები (FAQ)

სიტუაცია	გადაწყვეტა
1. არ ირთვება	შეამოწმეთ დატენილია თუ არა ბატარეა.
2. LEGEE ვერ ბრუნდება დასატენ სადგურზე	შეამოწმეთ სწორად არის თუ არა შეერთებული ადაპტერი დასატენ სადგურთან და შეერთებულია თუ არა შტექსელში. მოაშორეთ დასატენი სადგურის გარშემო ნივთები და გაწმინდეთ სენსორები სუფთა და მშრალი ნაჭრით.
3. ცუდი კონტაქტი დამტენ კონტაქტებთან	გამორთეთ დენი და მოაერთეთ დენის წყაროდან დასატენი სადგური. გაწმინდეთ ყველა დასატენი კონტაქტი სუფთა ტილოს გამოყენებით. ჟანგის მოსაშორებლად გაწმინდეთ სპირტით.
4. დატენვის წყვეტის თავიდან აცილება	რეკომენდირებულია დატენვისას LEGEE იყოს ჩართული. LEGEE დასატენ სადგურში დაბრუნებას შეძლებს ავტომატურად, თუ LEGEE-ს ოდნავ გაამოდრავებთ.
5. დენის მოხმარება თუ LEGEE-ს ტოვებთ დასვენების რეჟიმში სრულად ადტენვის შემდეგ	დენის მოხმარება ძალიან დაბალია როდესაც LEGEE დასვენების რეჟიმშია. თუ LEGEE შეერთებული დარჩება დასატენ სადგურთან, ეს დაეხმარება ბატარეის უკეთ მუშაობაში.
6. წმენდის შედეგი ნაკლებ დამაკმაყოფილებელია	გამორთეთ დენი, შემდეგ გაწმინდეთ ან შეცვალეთ გვერდითი ჯაგრისი, მტვრის ყუთი, HEPA ფილტრი და საწმენდი ტილო.
7. მუშაობს/მოძრაობს არასათანადოდ	გამორთეთ დენი, შემდეგ გაწმინდეთ 7 სენსორი და ფანჯრები ამორტიზატორზე. ასევე შეამოწმეთ თუ არის ამორტიზატორი სწორად დაყენებული.
8. გვერდითი ჯაგრისი არ ტრიალებს	გამორთეთ დენი, შემდეგ შეამოწმეთ მიმარგებულია თუ არა გვერდითი ჯაგრისი. გაწმინდეთ გვერდითი ჯაგრისი და ხელახლა დააყენეთ.
9. LEGEE არ აშხეფებს წყალს	გამორთეთ დენი, შეამოწმეთ სწორად არის თუ არა დაყენებული თავი.
10. სპრეის თავების ტესტირება	დააჭირეთ ღილაკს  დისტანციური მართვის პულტზე და LEGEE to ერთხელ შეასხურებს. თუ LEGEE არ ასხურებს წყალს, შეცვალეთ სპრეის თავები.
11. ხალიჩის სიმაღლის ლიმიტი	ნებისმიერი 3მმ-ზე მაღალი სიმაღლის საგანი ითვლება დაბრკოლებად, რომელსაც LEGEE ვერ გადაუვლის.
12. დისტანციური მართვის პულტი არ მუშაობს	შეამოწმეთ ჩართულია თუ არა LEGEE და არ აქვს დამჯდარი ბატარეის სტატუსი. LEGEE ვერ შეასრულებს ბრძანებებს, გარდა დასატენ სადგურში დაბრუნებისა და ხელით კონტროლისა. დისტანციური მართვის პულტი მიმართეთ LEGEE-ის ზედა პანელზე. შეცვალეთ პულტის ბატარეები და სცადეთ ხელახლა.
13. როგორ გავაწმენდინოთ	წმენდამდე მოაწესრიგეთ არეულობა, მოაშორეთ ხალიჩები, დენის სადენები, ტყავის ნივთები.

LEGEE-ს უფრო ეფექტურად	
14. წითელი და ლურჯი ნათურა ციმციმებს	მოწყობილობის გაუმართაობა. დახმარებისთვის დაუკავშირდით ადგილობრივ დილერებს.
15. ვერ უკავშირდება აპლიკაციას/LEGEE-ს დაწყვილებისას	დაარესტარტეთ LEGEE და აპლიკაცია. ა) სუსტი Wi-Fi სიგნალი, დარწმუნდით, რომ LEGEE და სმარტფონი მდებარეობს ერთი და იგივე სივრცეში და აქვს მუდმივი Wi-Fi კავშირი. ბ) განაახლეთ HOBOT LEGEE აპლიკაცია და სცადეთ ხელახლა. გ) არასწორი პაროლი. დ) LEGEE -ს არ აქვს 5G Wi-Fi მხარდაჭერა, გამოიყენეთ 2.4G Wi-Fi.
16. ვერ უკავშირდება აპლიკაციას/LEGEE-ს	დაარესტარტეთ LEGEE და აპლიკაცია. ა) სუსტი Wi-Fi სიგნალი, დარწმუნდით, რომ LEGEE სმარტფონი ორივე მუდმივი Wi-Fi ზონაშია. ბ) განაახლეთ HOBOT LEGEE აპლიკაცია და სცადეთ ხელახლა. გ) თუ LEGEE გადასულია სხვა უსადენტო ქსელში, LEGEE გამოეყენებამდე ხელახლა დააწყვილეთ აპლიკაციასთან.
17. LEGEE არ წმენდს დაგეგმილის მიხედვით	დაგეგმილი წმენდის შესასრულებლად LEGEE უნდა ჩაირთოს და არ უნდა იყოს დამჯდარი ბატარეის სტატუსით.

პრობლემების აღმოჩენის შემთხვევაში, თუ ეს სახელმძღვანელო არ გიწევთ დახმარებას, დაუკავშირდით ადგილობრივ გამყიდველს და ადგილობრივ ავტორიზებულ პირს.

©სპეციფიკაციები

მოდელის N	LEGEE-688
WiFi	802.11b/g/n
ბატარეა	Li-Ion 2750 mAh
ზომები	340 მმ x 330 მმ x 95 მმ (LWH) (13.4 ინჩი x 13.0 ინჩი x 3.7 ინჩი)
დასატენი სადგური	
ძაბვა	100~240 V, 50~60 Hz
ადაპტერის დენი	19V/1A, 19W

©პროდუქტი და აქსესუარები

LEGEE-688	დასატენი სადგური
AC ადაპტერი	დისტანციური მართვის პულტი
წყლის ბოთლი	მომხმარებლის სახელმძღვანელო
საწმენდი ტილო	გვერდითი ჯაგრისი
სპრეის თავები	HEPA ფილტრი



HOBOT Technology Inc.

www.hobot.com.tw

